ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **20200216**
თარიღი: **21/01/2020**
პინი: **2988**

ადრესატი: ვახტანგ ჭელიძე
პირადი ნომერი: 01009001743
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 64, ბინა 30

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

განცხადების ნომერი: 01193611548-67
განცხადების თარიღი: 27/12/2019

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

- საკადასტრო კოდი :01.10.07.007.065
- მისამართი :ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, N 56
- ნაკვეთის დანიშნულება :არასასოფლო სამეურნეო
- მესაკუთრეები : შპს ელენ ჰაუსი

განმცხადებელი-დამკვეთი :ვახტანგ ჭელიძე
პირადი ნომერი :01009001743
მისამართი :საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 64, ბინა 30

ნომენკლატურა :სპეციალური (ზონალური) შეთანხმება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების თაობაზე მერის ბრძანებაში ცვლილება /

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 27 დეკემბრის 01193611548-67 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 18 იანვრის ბ01.011901810 ბრძანებაში ცვლილების შეტანას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის შუალედური გადაწყვეტილების (4806474; 26.12.2019) და წარმოდგენილი განმარტებების გათვალისწინებით, კერძოდ, განმცხადებლის მითითებით, საპროექტო მიწის ნაკვეთი წარმოადგენს კოოპერატიული ბინათმშენებლობისათვის გადაცემულ მიწის ნაკვეთს და შესაბამისად განთავისუფლებულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის დადგენილი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისგან.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთები და მისი გადახდის წესი განისაზღვრება ,,ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის 17-49 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის“ შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 18 იანვრის ბ01.022901810 ბრძანებით, რომლითაც გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვრა: კ2=4.5 განიმარტა, რომ სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ,,ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის 17-49 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის“ საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 18 იანვრის ბ01.022901810 ბრძანება არ შეიცავს იმპერატიულ ჩანაწერს სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებით და

მიუთითებს საკითხის ზემოაღნიშნული კანონისა და ინსტრუქციის შესაბამისად გადაწყვეტის ვალდებულებაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის 17-49 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-9 პუნქტის თანახმად, მოსაკრებელი გადაიხდევინება მშენებლობის ნებართვის გაცემისას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებლის გადახდევინების საკითხი განიხილოს და გადაწყვიტოს ,,ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის 17-49 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 18 იანვრის ბ01.011901810 ბრძანებაში ცვლილების შეტანის საჭიროება არ არსებობს.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი